თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 12

ქ.თერჯოლა 01 ოქტომბერი 2025 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1.გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. გრიგოლ გიორგაძე, 7.გოჩა ვერულაშვილი 8.ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. შალვა ჭანკვეტაძე, 10. გოჩა ვერულაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე, 2 .ტარიელ ფანჩულიძე.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(ქალაქ თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 149.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ N33.09.42.1029) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 4 (ოთხი) წლის ვადით გასხვისებაზე, შემდგომში მასზე მე -3 კატეგორიის ავტოსადგურის მოწყობის მიზნით) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-28252727 წერილი, 29.09.2025 წ.);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 05 მარტის Nგ-29. 29250643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ((თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-2825273113 წერილი, 30.09.2025 წ.);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქალაქ თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 149.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ N33.09.42.1029) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 4 (ოთხი) წლის ვადით გასხვისებაზე, შემდგომში მასზე მე -3 კატეგორიის ავტოსადგურის მოწყობის მიზნით) განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას 2025 წლის 8 მაისს განცხადებით მიმართა შპს „ თერჯოლის ავტოსადგურის" დირექტორმა გ.გ-მ, რომელმაც ავტოსადგურების სერტიფიცირების პროცესის დაწყების საფუძველზე მოითხოვა ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე მე-3 კატეგორიის ავტოსადგურის მოწყობისათვის იჯარის ფორმით ფართის გამოყოფა.
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 7 მაისის №8 დადგენილების თანახმად ქალაქ თერჯოლის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს 1 (ერთი) ავტოსაგური.
მგზავრთა კომფორტული გადაადგილებისა და ზოგადად მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით მერიის მიერ მე-3 კატეგორიის ავტოსადგურის მოსაწყობად შერჩეული იქნა ქალაქ თერჯოლაში, ყოფილი ავტოსადგურის ტერიტორიაზე მდებარე 149 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ს.კ.33.09.42.1029.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქალაქ თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 149.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ N33.09.42.1029) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 4 (ოთხი) წლის ვადით გასხვისებაზე, შემდგომში მასზე მე -3 კატეგორიის ავტოსადგურის მოწყობის მიზნით).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 05 მარტის №-29. 29250643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - მერიას განცხადებით მომართა ი.ჯ-მ, რომელმაც გამოთქვა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე 625 კვ.მ ფართობის (ს.კ 33.09.42.1012) შესყიდვის სურვილი, შემდგომში მასზე ტურისტული ინფრასტუქტურის მოწყობის მიზნით.
ვინაიდან, მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი რაიმე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და მიწის ნაკვეთის გასხვისება არ ემსახურება მხოლოდ კერძო პირის და არ ლახავს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესებს, მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ს.კ 33.09.42.1012 მიწის ნაკვეთი გასხვისდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასმართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საწყის საპირივატიზაციო საფასურად განისაზღვრა 35600 ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 05 მარტის №-29. 29250643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იუირიდიულ საკითხთა კომისის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 01 ოქტომბრის საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი